საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/198

ქ. ბათუმი 24 აპრილი, 2020 წ.

,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე 2020 წლის 23 მარტამდე ჩარიცხულ მსმენელებთან სასწავლო პროცესის შეჩერების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 მარტის N01-08/182 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომგანათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისიწარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინოდაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის № 135/ნ ბრძანების, ,,საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის № 136/ნ ბრძანების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის N135 დადგენილების, ,,ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის №434 განკარგულების, კორონავირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანების, ,,საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 23 მარტის დეკრეტის, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების და სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მზია ბაქრაძის სამსახურებრივი ბარათის (N317221, 27.03.2020 წ), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2020 წლის 25 მარტს დამტკიცებული N123/ო ბრძანების N15 დანართის და სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მზია ბაქრაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 20 00346226 23/04/2020), საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე 2020 წლის 23 მარტამდე ჩარიცხულ მსმენელებთან სასწავლო პროცესის შეჩერების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 მარტის N01-08/182 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების გათვალისწინებით 2020 წლის 23 მარტიდან შეჩერებულად ჩაითვალოს ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე კლინიკური ნაწილის სწავლება 2020 წლის 23 მარტამდე ჩარიცხულ შემდეგ მსმენელებთან:“.

1.1. პროგრამაზე ,,თერაპიული სტომატოლოგია" (სწავლის ხანგძლივობა-11თვე) 3 რეზიდენტი:

ა) **თამარ წულუკიძე** (ჩარიცხვის ბრძანება N01-08/208, 03.04.2019წ, მოდულის ,,ბავშვთა და მოზრდილთა პაროდონტოლოგია და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები'' სწავლების დაგეგმილი პერიოდი: 03.04.2019 - 03.04.2020);

ბ) **ლალი ცეცხლაძე** (ჩარიცხვის ბრძანება N01-08/607, 09.10.2019წ) მოდულის ,,ბავშვთა და მოზრდილთა ენდოდონტია" სწავლების დაგეგმილი პერიოდი09.10.2019 - 09.10.2020);

გ) **ია სოფრომაძე** (ჩარიცხვის ბრძანება N01-08/607, 09.10.2019წ) მოდულის ,,ბავშვთა და მოზრდილთა ენდოდონტია" სწავლების დაგეგმილი პერიოდი09.10.2019 - 09.10.2020);

1.2. პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია“ - **ანა კობალაძე** (ჩარიცხვის ბრძანება N01-08/04, 16.01.2019წ, მოდულის ,,მოსახსნელი პროთეზირება" სწავლის ხანგძლივობა-15თვე, 21.01.2019 - 21.05.2020).

2. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ მსმენელთა/სპეციალობის მაძიებელთა და შესაბამისი მოდულების ხელმძღვანელთა ინფორმირება კლინიკური სწავლების შეჩერების შესახებ განახორციელოს შესაბამისი პროგრამის ხელძღვანელმა (დაეგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე).

3. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ მსმენელთა/სპეციალობის მაძიებელთა და შესაბამისი მოდულების ხელმძღვანელთა ინფორმირება კლინიკური სწავლების შეჩერების განმაპირობებელი გარემოებების აღმოფხვრისა და კლინიკური სწავლების გაგრძელების თარიღის შესახებ განახორციელოს შესაბამისი პროგრამის ხელძღვანელმა (ამ მოქმედების განხორციელების შემდეგ შესაბამისი სამსახურებრივი ბარათი წარმოდგენილი იქნეს ბსუ-ს რექტორთან).

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების ხელმძღვანელებს, კლინიკას ,,ბსუ დენტი“, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**